

572
1955

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



საბავშვო სოხ. სპ. სიბერეების
საქართველოს
ბავშვთა
გაზეთი

დედა

„დედა, ტურე ქვეყნის
ოღისე, იფრე შინა,
და შინა, ქართული, სწავლითა
სამშობლო ვახარეთი.“

№ 4 საბავშვო სოხ. სპ. სიბერეების
საქართველოს ბავშვთა გაზეთის

ბარათი
1955



ღენის პაღღებთ ბავშვები

ყვავილი ყვავილს უცინის
ცისფერი, მორცხვად დახრილი:
კარგ ღროს გაფჩნდითო, დაიკო,
აპრილიაო, აპრილი.

ნეტავ რას ამბობს მერცხალი,
ეზოში შემოფრენილი,
იქნებ ჭიკჭიკებს: — აპრილში
დაიბადაო ღენინი.

კარგია, კარგი აპრილი,
ჩვენც გაგვახარა ქებულმა,
საჭმით უკვდავი ღენინი
აპრილში დაბადებულა.

ღარიბის კერა გაათბო,
ჩამქრალი, გადათელილი.
ქვეყანას დააპატრონა
მუშა და გლეხი ღენილი.

ბავშვები დაგვსხა მერხებზე,
გაგვაშლევინა წიგნები.
ვბეჯითობთ, —
მის სადიდებლად
სულ ბეჯითები ვიქნებით.

გაზაფხულია, აპრილი —
ვარდ-ყვავილების გამშლელი,
ქვეყანა ღენინს უმღერის,
ღენინს ვადიდებთ ბავშვები.

ბ. კაჭახიძე



მუღამ მივიტანთ ყვავილებს

თუ ხართ თბილისში ყველაზე
დიდი მოედნის მნახველი,
მას ჰქვია ხალხთა ბეღადის —
ძია ღენინის სახელი.

იქ ახლა ყოველ ცისმარე
მუშების მძლავრი ხმა ისმის.
დიდ ღენინს — ხალხთა დიდ ბეღადს
დიდ ძეგლს უგებენ ხალისით.

ჩვენ თუმცა ძია ღენინი
ახლა ცოცხალი არა გვყავს, —


ჩვენს თვალწინ ძეგლი ღენინის
ალიმართება ამაყად.

მისი ღიმილის სხივებით
განათდა ჩვენი ცხოვრება,
მისი ძვირფასი სახელი
მარადეაშს გვემანსოვრება.

მან აუსრულა მშრომელებს,
რაც გულში ნატვრა გაივლეს.
ძია ღენინის დიდ ძეგლთან
მუღამ მივიტანთ ყვავილებს.

ბ. გუგუშვილი





6653

ვლადიმერ ილიასძე
236060

მეცნიერების სსიპ, საქ. საბჭო
საქართველო
ბიბლიოთეკა
თბილისი



ა. კონონი

ნახატები ბ. თოთიბაძისა

ლენინის ბიუსვი

საფრანგეთის დედაქალაქში ზარისში მსოფლიო გამოფენა იყო გახსნილი.

ეველა ქვეყანას იმ ნივთების ნიმუშები ჩამოეტანა, რითაც კი სახელი ჰქონდათ განთქმული. ნივთების გამოსაფენად ცალ-ცალკე შენობები — ზავილიონები ააკვეს.

საბჭოთა ზავილიონს შორიდანვე იცნობდით: მის სახურავს ამშვენებდა დაუჯანგავი ფოლადისაგან ჩამოსსმული ორი უზარმაზარი ქანდაკება მუშისა და კოლმეურნე ქალისა; მათ იალღა აღეპართათ

შესე მოლანლანე ჩაქუნი და ნამკალი.

მიკ ზავილიონში ის ნივთები იყო გამოფენილი, რითაც ჩვენი ქვეყანა ამაჟობს. ეველანსე დიდ დარბაზში კი ვლადიმერ ილიას-მე ლენინის ბრინჯაოს ბიუსტი იდგა და ირგულივ ცოცხალი ევაგილები ამკობდა. საბჭოთა ზავილიონს მედამ მრავალი მნახველი ჰკავდა. მოდიოდნენ მუშები, მეცნიერები, მწერლები, ჯარისკაცები, კლეხები, მსწავლელები...

ერთხელ, საღამო ხანსე, როდესაც
ჩვენი ზავილიონი ის-ის იყო უნდა დაე-
კეტათ, ერთი ბრმა მოვიდა. ის მოჭეპუ-
და სახენაღვლიან ქალს. ქალმა ბრმა
მამაკაცი ლენინის ბიუსტთან მიიყვანა
და თვითონ განსე დადგა. ბრმა ხელით
შეესო ლენინის ბიუსტს. ხელისგულზე
ლენინის მხარე რომ მოხვდა, მაშინ თან-
დათან, მოწიწებით ააყოლან ხელი ბრინ-
ჯას.

ზავილიონის თანამშრომელი ქალს
მოუახლოვდა და შეეკითხა:

— ეს კაცი ვინ არის, რა უნდა?

— ხეში ქმარია, — მიუგო ქალმა, —
თვალეფი ომში ამოეწვა.

თანამშრომელმა შესედა ბრმას. მას
თვალეფის მაგიერ ცარიელი, ამოშაკეფუ-
ლი უაყეფი მოუნანდა.

— ეჰ, ნეტავ იცოდეთ, წინათ
ვაკვაცი იყო... — დასძინა ქალმა.

... ბრმის გამხდარი ხელი შევით და შე-
ვით მიიწვედა. აი, მისი თითები შეესო
ლენინის მხალე, გამლილ შებლს და
კარგა ხანს აღარ მოსცილეფია. მერე და-
უშვა ხელი, სახესე ცრემლეფი ჩამოუ-
კორდა.

— უარი ვვღარ ვუთხარი აქ მოყვა-
ნასე, — წაიხურჩულა ქალმა, — მას არა-
სოდეს უნახავს ლენინის სურათი.

ბრმა დიდხანს იდგა ბიუსტთან, ცრემ-
ლეფი არც მოუწმენდია; რამდენიმეჯერ
ასწია ხელი, სასოეფით შეესო ლენინის
სახესე, მერე ისეე უძრავად კაჩერდა და
ერთი წერტილისაკენ იეურებოდა.

ბოლოს თქვა:

— ასლა კი ვნასე ლენინა!

თარგმანი. რ. კეზულაძისა





აუნთებელი ბუხარი



ზღვა ბობოქრობდა, დელავდა. სუსხიანი ცივი ქარი ნაპირისაკენ ერეკებოდა ჩამუქებულ ტალღებს. ტალღები ქუხილით აწყდებოდნენ ახალდათოვლილ სანაპიროს.

ზღვა მრისხანებდა, ბობოქრობდა, თითქოს იზიარებდა ხალხის გულისწყრომას...

ამ დილით რამდენიმე მოწინავე მუშა დააპატიმრა ბათუმის ჟანდარმერიამ, გაჩხრიკა და აიკლო მათი ღარიბული ქოხმახები, ააცრემლა ქალები და ბატარა ბავშვები; აქა-იქ ჩხრეკა და დაპატიმრება ისევ გრძელდებოდა.

დაცარიელებული ქუჩები მინაბული იყო. ხალხი ჩვეულებრივად არ მიმოდიოდა, არავინ ჩანდა, მხოლოდ ერთი დაბალი სახლის წინ მოხუცი კაცი ჩამომჯდარიყო.

ქუჩის ბოლოში პატარა ბიჭი გამოჩნდა, მარჯვენა ხელში მოზრდილი ჭილის კალათი ეჭირა. მარცხენა ილიაში ხმელი ფიცრის რამდენიმე ნახლეჩი ამოედო და ქშენით მოდიოდა.

ბიჭი რომ მიუახლოვდა, მოხუცმა თვალებზე ხელი მოიჩრდილა და მომავალს დააკვირა.



— ბიძიკო, შენ რაედენისა არა ხარ?..
— დიახ...
— მამაშენი არ გამოუშვებს?..

ბიჭმა სლუკუნი დაიწყო:
— დედა ისევ იქ არის... თვითონ ვუყურე, სხვებიც მიუმატეს თვარა...

— რა ქნეს იმ მხეცებმა, არ ჩაგვაშვარეს ესათას ცხრაას ხუთი წელი!—კენესით წამოიძახა მოხუცმა. ბიჭმა კალათს ხელი დაავლო და გზა განაგრძო.

ჩაფიქრებული ბიჭი ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა განმარტოებით მდგარ ქოხს. ის მათი სახლი იყო. ქოხის საკვამური არ ბოლავდა... რა ხანია მათ ბუხარში ცეცხლი ხეირიანად არ დანთებულა. მამა სანამ თავისუფალი იყო, ხანდახან მოიტანდა უვარგის ფიცრებს, წნელის გუდურას, და ქოხში სითბო და ხალისი დატრიალდებოდა, ახლა კი... აი, ეს ორიოდე ფიცრის ნაპობი ძლივს იშოვა დედამ.

მივა თუ არა, უსათუოდ აანთებს ცეცხლს, საუშმის თადარიგს შეუდგება. დედა მშვიერი და დაღლილი დაბრუნდება საპატიმროდან... ბიჭი ფიქრებიდან მოულოდნელმა ფეხის ხმამ გამოიყვანა. მან რამდენიმე ნაბიჯზე სამი ქანდარ-

მი დანახა, რომლებიც მათი მეზობლის
სახლთან გაჩერებულიყვნენ.

— ყმაწვილო, სერგო საბაშვილი აქ
ცხოვრობს?..

— დახ... — წამოიძახა ბიჭმა და უცებ
დაუმატა:

— მეგნი... არ ვიცი...

ქანდარმებმა ალმაცერად ახედ-დახე-
დეს ბიჭს და ქიშკარში შეაბიჯეს.

„უნდა მეთქვა, სხვაგან ცხოვრობს-მე-
თქი.“

ამ ფიქრმა ელვასავით გაურბინა
ბიჭს, იმ სახლის ფანჯრის წინ უნებურად
შეჩერდა და დააყურა. ოთახიდან ჩამი-
ჩუმად არ ისმოდა. ეტყო-
ბოდა, ქანდარმები ჯერ
ეზოს ზევრავდნენ.

„ახლა ძია სერგოსაც
დააპატიმრებენ... ის ხომ
მაძას მეგობარია...“

უცებ ფანჯარა ფრთხი-
ლად გაიღო და ქალის ვა-
ფითრებული სახე გამოჩნდა.
ფანჯარაში გადმოდგარმა
ქალმა ჯერ უკან დაიხია,
მერე ღიმილით წამოიძახა:

— შუქრი, გენაცვალე,
აქ რა გინდა?..

— მე... მე... დედა მა-
რო, დავინახე, ის... ისინი
რომ შემოვიდნენ, და...

ქალი ფანჯარას გადმო-
ეყუდა, მიმოიხედა და, რო-
ცა დარწმუნდა, რომ ქუჩა-
ში არავინ ჩანდა, ყურში
უჩურჩულა ბიჭს:

— შენი დანახვა ასე
არასოდეს გამხარებია, ჩემო
შუქრი... უნდა გაისარჯო,
აი, ეს დედას უნდა წაუღო.

ქალმა ერთხელ კიდევ
გახედა დაცარიელებულ
ქუჩას და მრგვლად გახვეუ-
ლი ქალღღების დასტა


ფრთხილად გადმოაწოდა გოცემბურო
ბიჭს.

— დედა შინ არაა...

— არა უშავს, შვილო, ახლა ლაპა-
რაკის დრო არ არის... ჩადე მაგ კალათ-
ში... მაგრე არა, სულ ქვეშ... წაიღე და და-
წვი, გესმის? ან წყალში გადაავდე!

მალე ყველაფერი რიგზე იყო. ფან-
ჯარა დაიხურა. შუქრი მირბოდა შინისა-
კენ, ფეხები ებლანდებოდა, უკან მი-
ხედვას ვერ ბედავდა. ეს რა ჩაიღინა,
ხომ შეიძლება დანახონ და მერე... დე-
დასაც დაღუპავს... ჩქარა, ჩქარა!





ბენ; — გაიფიქრა მან და ზღვისკენ გაი-
ხედა.

„ზღვაში გადავადგებ, ზღვაში.“

უცებ ბუხარი გაახსენდა, ოთახის კა-
რი ფეხისკერით შეალო, შეშა ბუხრის
წინ დაყარა, ნაცარი გადაქექა. მერე ფიცი-
რის ნახლეჩები პატარა ნაჯახით დაა-
ნაქუსა, ნაცარზე დააგროვა და ზევიდან
მსხვილი ნაქრები დააღავა.

აი, ახლავე დაგუგუნებს ბუხარს,
გათბება კიდევ და... მაგრამ სანამ ცეც-
ხლში ჩაავდებს, ხომ უნდა ნახოს, რას
სწევავს?..

მან ასანთი გვერდზე გადადო, კალა-
თიდან კომბოსტოს თავი ამოიღო. გაე-
ცინა, ახლავა გაახსენდა, რომ მსუქან ჟან-
დარმს გასიებული თავი მართლაც ამ
კომბოსტოს მიუგავდა.

შეკრული ქაღალდების დასტა
ფრთხილად გახსნა და ერთი ფურცელი
გაშალა.

— „ძირს მეფის მთავრობა! გაუმარ-
ჯოს თავისუფლებას!“

შუქრის ტანში გააერყოლა. უნებუ-
რად მიმოიხედა და ჩაფიქრდა. არა, ამის
ვერ დასწევას... მამამისმაც ხომ სწორედ
ეს სიტყვები წამოიძახა, როდესაც ჟან-
დარმებმა ხელები ზურგს უკან გაუქრეს
და საპატიმროს გზას გაუყენეს. მერე რო-
გორი გაწამებული სახე ჰქონდა საბრალო
მამას იმ წუთებში. როგორ უსიტყვოდ,
სიყვარულით სავსე თვალებით ეთხოვე-
ბოდა შუქრის... არა, არ დასწევას ამ
სიტყვებს, ამ სიტყვებით ხომ მისი საყვარელი
მშობელი ვაჟაკურად მოუწოდებდა
შეკრებილ ხალხს:

— გაუმარჯოს თავისუფლებას!

შუქრი დაფიქრებული იჯდა ბუხრის
წინ და დასცქეროდა გაციებულ ნა-
ცარზე ასანთებად გამზადებულ ფიცრის
ნატეხებს.

მაგრამ სად, სად დამალოს ეს საშიში
ქაღალდები. კარადის უკან? განჯინაში?
არა, არა, ადვილად მიაგნებენ... მან უცებ

უცებ ზემოდან მომავალ სხვა ჟან-
დარმებს შეეფეთა.

დაბალი ფაშფაშა ჟანდარმი აკანკალებ-
ული შუქრის მიუახლოვდა და ჰკითხა:

— საიდან მოდიხარ, ვაჟაკო?..

— ბაზრიდან, ბატონო...

— აბა, მაჩვენე, რა მიგაქვს!

მსუქანი ჟანდარმი ქშენით მოიღუნა
წელში, ხმლის ბუნკით მიჩხრიკ-მო-
ჩხრიკა კალათი და წელში გასწორდა.

— ბიჭუნას ნავაქრში საექვო არაფე-
რია, ბატონო ეფრეიტორო. — მოახსენა
დაბალმა ჟანდარმმა მალაღს. — რამდენიმე
თავი ხახვი და კომბოსტო მიაქვს შინ...
ღროის დაკარგვად არ ღირდა.

— ერთი კომბოსტო შენ კი გაბია
მხრებზე. ბრძანება ბრძანება! — შეუტია
უფროსმა ჟანდარმმა ხელქვეითს, მკვით
შეათვალისწინებდა კედელთან ატუხული ბი-
ჭუნა და დეზების ჩხაკუნით განაგრძო გზა.

აღელვებული შუქრი გულის ფანქაქა-
ლით მიიბიჯებდა ამ თოვლში.

როცა სახლის სამსაფეხურიანი კიბე
აირბინა და ეზოს გადახედა, გარკვევით
დაინახა ახალმოსულ თოვლში დატოვე-
ბული ნაკვალევი.

„ამ ნაკვალევზე უთუოდ მომავლე-

ისევ ერთ დასტად შეკრა ქაღალდები შეშის ქვეშ ნაცარი ღრმად გამოქექა, შიგ ჩაღო და ისევ ნაცარი წააყარა.

ახლა ყველაფერი რიგზეა. ფანჯრიდან დაინახავს თუ არა მათი სახლისაკენ მომავალ ქანდარმებს, ასანთს გაჰკრავს და... მხოლოდ მაშინ, ისე კი ამ ქაღალდებს ვერ გაიმეტებს.

იგი დამშვიდდა, მხოლოდ ახლავს იგრძნო შიმშილი და სიცივე.

აი, საცაა დედა დაბრუნდება, მან კი ოთახი ვერ გაუთბო საყვარელ დედას, საუბმე ვერ გაუმზადა.

ფეხის ხმა შემოესმა. ფანჯარას მივარდა და თავისუფლად ამოისუნთქა: დედა მოდიოდა. ღრმა თოვლში მოაბიჯებდა თავჩალუნული.

შუქრი აივანზე მიეგება დედას.

— მამა? — შეეკითხა ბიჭი.

— მალე არ გამოუშვებენ მამას, შეილო... ცეცხლი არ ავინთია? ცივა... გავიყინე. რა ხანია ქუჩაში ვდგავარ, სერგოსას ჩხრეკა ყოფილა. — დაღლილი ხმით თქვა დედამ და ბუხარს მიუახლოვდა.

— მერე? — გულის ჩქოროვით შეეკითხა შუქრი.

— რა მერე, ავანთებ და გავთბებით.

— არა, დედი, რა მოხდა ჩხრეკის შემდეგ?

— გადარჩა, შეილო... ვერაფერი უპოვინათ, ქანდარმები წავიდნენ... ასანთი სად არის?

— წავიდნენ?... მართლა წავიდნენ? — შესძახა შუქრემ და თვლებზე სიხარულის ცრემლი მოადგა.

დედამ გაცემით გადახედა შეილს.

— რა მოგივიდა, ბიჭო?

შუქრემ არაფერი უპასუხა, ბუხრის წინ დიჩოქა, ნაცარი გადაქექა, დამალული ამოიღო, გაბერტყა და დედის წინ თავჩალუნული გაჩერდა.

— აი, დედი... ეს მე... მე წამოვიღე ძია სერგოსაგან... ცეცხლი ამიტომ ვერ დაგახვედრე...

დედა საჩქაროდ ხელების კანკალით ფურცლავდა ქაღალდებს, სიხარულისგან მი უკრთოდა დატანჯულ ლამაზ სახეზე. მან ისევ ფრთხილად შეახვია ქაღალდები, შეილს მიუახლოვდა, თავი გადაუწია და ჯერ ერთ თვალში აკოცა, მერე მეორეში.

შუქრი დედის მკერდს მიენდო, თვლები დახუტა და ამ წუთებში საყვარელი მამის ელვარე თვალები დაინახა, გარკვევით გაიგონა მისი ვაჟკაცური ძახილი: „გაუმარჯოს თავისუფლებას...“ ეს ძახილი თითქოს იმ აუნთებელი ბუხრიდან მოდიოდა და საოცრად, საოცრად თბილოდა ოთახში.

გარეთ კი, იქვე, ამ პატარა ქობის მახლობლად, ზღვა ისევ ბობოქრობდა, სუსხიანი ცივი ქარი ისევ მოაქანებდა ტყვისფერ ტალღებს, ეხეთქებოდა დათოვლილ ნაპირს და, ათას შხეფებდა ქცეული, ისევ უკან ბრუნდებოდა.

ბობოქრობდა ზღვა, დედავდა, თითქოს იზიარებდა ხალხის გულისწყრომას და თავისუფლების წყურვილს.



თებრონეს გასაქირი

ნახატები ბ. კვიციანი

„თავი ვერ შევკავე, მოვგორავ და მოვგორავ“. გამაურული ქოთნები მიპყვიან ჩაიღებებს.

„ქახ, ქახ! ძინ, ძინ.“ — კანკალით

თავადმართებ ჩაიღებენ. უთოებიც მირბიან.

უვირილით და ხმაურით, ახტებიან გუბურებს ერთი აურხაურით.

მოხატული თევზები ქიქებს თან მიპყვიან, „ძინ, ძინ, ლაწ, ლაწ“.

გაისმის, ტყდებიან და ტყდებიან. ნეტავ საით გარბიან,

ფხვი როგორ აიღვს? ტყავს მოხტის მხარუნით: „სად მიიზიხართ, საითყვენ?“

უცებ ქობის ფანჯრიდან გამოვიდა მავალი, სკამიც გამოიყოლა,

ხელი მაგრად ჩაქილა. არ შენერდა წამითაც, წაიღა და წაიღა...

მაივალზე შემდგარი, როგორც ცხენზე მხედარი, გაპყვირის სამოვარი:

„ჩქარა, სანამ დრო არის, წაიღეთ, მგვობრებო, კასრებო და გოპებო!“

ლედებერი თებრონე მორბის ვაი-ვაღლაბით.

ებლანდება ფეხებში ლოზისძირია ბალახი.

თორმე მას გაქცივია მთელი ეს გამ-ქურველი.

გარბიან და გარბიან, ბებურის არეინ უჯერის. აქ თებრონეს კატები

არ ღარჩნენ გაურჯელნი. გამოუდგნენ, რომ უკან დააბრუნონ ქურველი.

„ჰე, სულელი თევზებო, რომ ხტით, როგორც“

სიუცები, ნუთუ ყვითელისკარტა ჩიტებს ტყეში მიპყვიან?“

თევზები კი ბზრიალით ცვლავ მისდევენ სამოვარს:

„სჯობს ტყეში დავიკარგოთ, თებრონესთან არ მოვალოთ!“

იქვე მდგარმა ქათამმა თვალებს არ დაუჯერა: „აქ რა გინდათ, ქურველებო?“

გაიოცა გულქურვამ. უპასუხეს ქურველებმა: „არ გვივიღდა ბებია, გელმეფავდა და გამ-ქურველი“

გაიოცა გულქურვამ. უპასუხეს ქურველებმა: „არ გვივიღდა ბებია, გელმეფავდა და გამ-ქურველი“

გაიოცა გულქურვამ. უპასუხეს ქურველებმა: „არ გვივიღდა ბებია, გელმეფავდა და გამ-ქურველი“

გაიოცა გულქურვამ. უპასუხეს ქურველებმა: „არ გვივიღდა ბებია, გელმეფავდა და გამ-ქურველი“

გაიოცა გულქურვამ. უპასუხეს ქურველებმა: „არ გვივიღდა ბებია, გელმეფავდა და გამ-ქურველი“

გაიოცა გულქურვამ. უპასუხეს ქურველებმა: „არ გვივიღდა ბებია, გელმეფავდა და გამ-ქურველი“

გაიოცა გულქურვამ. უპასუხეს ქურველებმა: „არ გვივიღდა ბებია, გელმეფავდა და გამ-ქურველი“

გაიოცა გულქურვამ. უპასუხეს ქურველებმა: „არ გვივიღდა ბებია, გელმეფავდა და გამ-ქურველი“

როდი მოგვეფერებია. შეგებოლა და დაგვეტერვა, ერთხელაც არ დაგვეფერა. დღეს წვენი სამყოფელი მინდვრები და ხნულია. აღარ დავებურუნდებით ქუქიანს და თხუნისა.“

... თქვენ და ტყეში გაიქცნენ, ხის ძირებს მიპყვიან. ტირის, ტირის მარტოცა დარჩენილი ბებია.

დარღით თავი ჩაქილა: არც სკამი, არც მავალი... ჩაიხტა ტოლხაში,

— ხოქოვდა მოჩანს ზიგ! გაქცულან ქიქებიც! მზეურის კუჭი უხვება,

— ქვაბიც არ დარჩენია წვერის მოსადუღებლად.

... ტყეში, ველზე, ქაბში მიღის, მიღის ქურველი. „დევილდე“ — ჩაიღდა.

ეტყვის უთო ზურჩულით. ლამაზებუც ატირდენ:

„იქნებ სჯობს დაბრუნება? გომი კვხესისა: „გამეტყდარ- ვარ,“

ვერ გადავირი უნებოლა! ლამაქმა თქვა: „შეხეღეთ, აბა, იგი ვინ არის?“

... დიდხანს, დიდხანს რეცხაუ- და

გამ-ქურველს დედაბერი. ხეხავდა და მდღურავდა, შეხზარდა დაფერილი.

„მზარა, რაც რომ ვიყავი, უქნარა, გაურჯელი, არ დარჩება ნაწენი, მვეყავება ქურველი“.

თვლი უცვს სამოვარს მომკინარმა ქვაბებმა:

„ასე, ჩემო თებრონე, მოვლა ჩვენც გვეამება.“

წნელი ტყიდან გამოდის თებრონე მშობლიმარი. სასწაული მომხდარა, გამოცხვილია თებრონე და ჯამ-ქურველს უმღერის. როგორც ძვირფას მვეგობრებს:

„ჰეი, ჩემო ობლებო, უთოებო, ტყეებო, დამირჩუნდი, წამოღით, გაგვრცხით და დაგვეფროთ ქუქიანებს ამდენ ხანს ქვიშით კარგად გავგებავთ, მდღურავემე გავავლებთ, გაგვწინდავთ და გაგა-“

... შრომათ, რომ ვერცხლეით ბზნავე- დეთ.

მწესავით იკაშქაშით. დამირჩუნდი, წამოღით, გვეყით ასე ობლობა.

ახლოს არ გავაკარებთ ზოპოს, ბუხს და ობობას.“ ქობანმა — თქვა:

„მე ვგონებ, ცოლი არის თებრონე.“

დაუმოწმა ფინჯანმა: „უყო, რაც რომ ვიყავი.“

კვერი დამკარა ლამაქმაქცა: „დაუბრუნდეთ, მაშ რა უნათ?“

... დიდხანს, დიდხანს რეცხაუ- და

გამ-ქურველს დედაბერი. ხეხავდა და მდღურავდა, შეხზარდა დაფერილი.

„მზარა, რაც რომ ვიყავი, უქნარა, გაურჯელი, არ დარჩება ნაწენი, მვეყავება ქურველი“.

თვლი უცვს სამოვარს მომკინარმა ქვაბებმა:

„ასე, ჩემო თებრონე, მოვლა ჩვენც გვეამება.“

წნელი ტყიდან გამოდის თებრონე მშობლიმარი. სასწაული მომხდარა, გამოცხვილია თებრონე და ჯამ-ქურველს უმღერის. როგორც ძვირფას მვეგობრებს:

„ჰეი, ჩემო ობლებო, უთოებო, ტყეებო, დამირჩუნდი, წამოღით, გაგვრცხით და დაგვეფროთ ქუქიანებს ამდენ ხანს ქვიშით კარგად გავგებავთ, მდღურავემე გავავლებთ, გაგვწინდავთ და გაგა-“

... შრომათ, რომ ვერცხლეით ბზნავე- დეთ.

მწესავით იკაშქაშით. დამირჩუნდი, წამოღით, გვეყით ასე ობლობა.

ახლოს არ გავაკარებთ ზოპოს, ბუხს და ობობას.“ ქობანმა — თქვა:

„მე ვგონებ, ცოლი არის თებრონე.“

დაუმოწმა ფინჯანმა: „უყო, რაც რომ ვიყავი.“

კვერი დამკარა ლამაქმაქცა: „დაუბრუნდეთ, მაშ რა უნათ?“

... დიდხანს, დიდხანს რეცხაუ- და

გამ-ქურველს დედაბერი. ხეხავდა და მდღურავდა, შეხზარდა დაფერილი.

„მზარა, რაც რომ ვიყავი, უქნარა, გაურჯელი, არ დარჩება ნაწენი, მვეყავება ქურველი“.

თვლი უცვს სამოვარს მომკინარმა ქვაბებმა:

„ასე, ჩემო თებრონე, მოვლა ჩვენც გვეამება.“



აწკარუნდენ, აბზინდენ ქმაყოფილი, გამარჯვლი. და ბევირი აქვს თებრონეს ნამცხვარიც და საჭმელიც. უხარიათ ლამაქქვის. დღე დაუღვით მზიანი. სისქისებენ, ცაყვან, გააქეთ ბზილბზილი: და მზიარულ ბებიას ასე ეუნებნაინ: „რადგან დავგიმეგობრე, წვენი კარგო თებრონე. აბა, ჩაი მიირთვი, მოგიხდება, ბებია. დალიე და დალიე. ტყობილადაც შეგვრები“. გამოკითხული გ. ხეხავდა...

ბ. კვიციანი

როგორც ზარდანიცემი, ველზე მიხტის საცერი. გომი გარბის ბალახზე და გადადის მალაქებს. ბარის ფხვლევის მიპყვება სოსხი და არც იღლებმა. ფერდობიდან ჯახჯახით ნაჯახს მისდევს ნაჯახი.

დანას დანა მოპყვება აქქარებულ ნაბიჯით. უცებ ისმის ყვირილი: „ჰე, დავითო, დავითო!“ და ქვაბს უთამაშებს უფროდ შეტყვიარა და როგორა!



ანბანის გახიზვა



ოთახში წყნარად იყვნენ ბზრიალა და ბურთი. მხოლოდ თამრო ღელავდა. მას ღელაენა გადაეშალა და ჩუმად, ჩუმად ჩასჩურჩულებდა:

— მშვიდობით, ჩემო საყვარელო! გმადლობ, გმადლობ, რომ ანბანი შემასწავლე, უჰ, რამდენ წიგნს წავიკითხავ!

— გმადლობ, გმადლობ: ან, ბან, გან, ყველა უნდა გადაგკოცნოთ, აი, ასე! აი, ასე... და გაგაცილოთ.

გახედეს ასოებმა თოვლიან ეზოს და შეშფოთდნენ.

— ა-ა-ასეთი დარში?! — ატირდა ანი.

— ბ-ბ-ბ! — აბუტბუტდა ბანი.

— გ-გ-გარეთ?! — გაავდა განი.

— დ-დ-დახ! — აღუდუნდა დონი. სხვა ასოებიც აპყენენ იმათ და სათქმელად შეჰქრეს პირი: თამარი უგულო და უმადური გოგო ყოფილაო, — მაგრამ თამრომ დაასწრო:

— ჩემო კარგო მშობლიურო ანბანო, განა შორს გისტუმრებ? აი, აქეთ, ამ ოთახში მომყევით, სადაც ჩემს ძამიკოს სძინავს. ის ისეთი პატარაა, ის ისეთი სულელია, ანბანა სულ არ იცის. შეასწავლეთ, კეთილებო, ჩემს ძამიკო გოგის კითხვა!

— ა-ა-ა! — ამღერდა ანი.

— ბ-ბ-ბ! — ბანს აძღვედა ბანი.

— გ-გ-გ-განი, აბა განი! — იძახდა განი.

— დ-დ-დ-იპლიპიტო, დონ, დონ! — მოიღებნდა დონი. სხვა ასოებიც აპყენენ იმათ, სხვა ასოებიც იღებნდნენ. შემდეგ ყველა შეიკრიბა და სათქმელად შეჰქრეს პირი:

— თამრო კარგი გოგოა, ბეჯითი და გამრჯე, ყველას, ყველას ძალიან გვიყვარს ჩვენი თამრო!

მაგრამ თამრომ დაასწრო:

— გოგი კარგი ბიჭია, ჩემზე უფრო გამრჯე! — შემდეგ ისევ ღელაენას მიუბრუნდა:

— მშვიდობით, ჩემო ძვირფასებო: ან, ბან, გან, ყველა ასოებო, გმადლობთ, კითხვა რომ მასწავლეთ, ყველა უნდა გადაგკოცნოთ, აი, ასე, აი, ასე. უჰ!

ანბანმაც აკოცა თამროს, ანბანმაც შესძახა, „მშვიდობით, მშვიდობით“, თავი დაბლა დაუკრა და გოგისაქენ გასწია.

გიზოს დანაშაული

„ქალო, ქალო, ქან-წია! თეთრი კაბა გაცვია, გაიხადე, მე ჩამაცვი. ვითომც გავიცვეთია!“ — სიმღერით შემოიქრა მარინე ერთ დილას საბავშვო ბაღში და იმწამსვე სათამაშოების კარადსაყენ გაქანდა. იქიდან ახალი დედოფალა გადმოიღო.

— დილა მშვიდობისა, ჩემო მზეთუნახავო. — ტკბილად მიესალმა მარინე დედოფალს, მზრუნველი თვალით ახედდა და ახლა სხვა კილოთი მიმართა:

— ეე, შე კულრაქა შენა, რამდენჯერ უნდა დაგარიგო, ქალო! დილით რომ ადგები, უწინ შენს თავს უნდა მიხედო; მარდად უნდა ჩაიცვა, თმები კოხტად დაივარცხნო, მერე პირი დაიბანო და... ერიპა, აბა ერთი სარკეში ჩაიხედე, თმები როგორ აგწეწია! კაბის კალთა დაგკმუქნია... წამო, შადრევანთან წავიდეთ პირის დასაბანად.

მარინემ დედოფალს თმებზე ხელი გადაუსვა, გულზე მძივები შეუსწორა, ბავშვით ხელში აიყვანა და აივანზე გამოვიდა. იქიდან კიბე პირდაპირ ბაღში ეშვებოდა. მარინეს იქ უცებ გაახსენდა, წელან რომ ქუდი მოიხანდა, თმები არ შეუსწორებია. დედოფალა ხელად მოაჯირ-



ზე დადო და ხელი თავისაკენ რომ წაიღო, ამ დროს მეორე ოთახიდან ცელქი გიზო გამოვარდა. გიზოს უწყინარ და უსიტყვო ვასიკოსათვის ჩაეველო ხელი:

— ჩქარა, ბიჭო, ჩქარა, სანამ სხვები მოვლენ, აუზში ჩემი ნავი უნდა ჩავუშვა. დახე, რა ლამაზი ნავი გავაკეთე! — დაფაცურებული გიზო უცებ მოა-

ჯირს მოაწყდა, დედოფალას ნიდაყვი წაჰკრა და ძირს ტყაპანი მოადენინა. — უიჰ! — სამივე ბავშვს გულიდან ერთად აღმოხდათ. მარინემ ტირილი მორთო. ვასიკომ მტირალი მარინე დაამშვიდა:

— ოღონდ ნუ იტირებ, მარინე, და ხვალ დიდედას ჩურჩხელას გამოვართმევ და სულ შენ მოგცემ.

ამ დროს გიზო კიბეზე ამოვიდა, თავპირდაჩეჩქელი დედოფალა ვასიკოს მოუღერა და უთხრა:



— ეს სულ შენი ბრალია, ხელი შენა
კარი და გადაადგილ!

ვასიკოს თავზარი დაეცა და გოცე-
ბულმა ძლივს წაიღულულა:

— მე, მე... არა, არა!.. — და თვალებზე
ტრემლები ჩამოეკიდა.
მარინემ დედოფალა
გამოართვა გიზოს და
წყრომით მიმართა:

— არა გრცხვე-
ნია, გიზო, კიდევ რომ
ტყუი, შენ იყავი, შენ!
გოგონამ დედოფალ-
ლა წინსაფრის ქვეშ და-
მალა, ცალი ხელი ვა-
სიკოს ჩასქიდა და
ოთახში შეიყვანა.



ორივე ბავშვი დარბაზში შევიდა და
ერთ კუნჭულში დამნაშავესათვის საცო-
დავად აიტუნენ. გიზო კი ცოტა ხნით
გარეთ გაჩერდა. ვასიკოს სახემ და ტრემ-
ლებმა გულში თითქოს დანაშაული აგრ-
ძნობინა, დაღონდა და თვა-
ლებგაშტერებულმა სად-
ღაც შორს დაიწყო ყურე-
ბა. მერე თითქოს რაღაცა
გადაწყვიტა, უცებ მოტ-
რიალდა და ისიც დარბაზ-
ში შევიდა. გიზომ აბუზულ
ვასიკოს და მარინეს თვალი
მოჰკრა, მიხვდა, რომ ბავ-
შვებს მასწავლებლისათვის
არაფერი ეთქვათ. ახლა კი
გული მოუღება, სირცხვი-
ლი და მოუსვენრობა იგრ-
ძნო, ვეღარ მოითმინა, ბავ-
შვების წრე გაარღვია და
მასწავლებლის წინ დადგა.

— მასწავლებელო, ახა-
ლი დედოფალა მარინეს
წელან აივნის მოაჯირზე და-
ედო, ხელი მომიხვდა, ძირს
ჩავარდა და თავი გაუსყდა..
მე ვა...სი...კოს... დავაბრა-
ლე...აგერ, ტირიან... — გი-
ზოს გული ამოუჯდა, მან-
სწავლებელს მოეხვია და მის
კალთაში სახე დამალა.

ღუმელთან აღარ წვანან

ზ. შარაზლიძე

დათბა, მზემ თვალებბრიალამ
უკვე გააქრო თოვლი,
ხეებს კვირტები უფეთქავს,
მიწას ამშვენებს მოლი.

გაზაფხულია, ჯეჯილებს
ნიავი უმღერს ნანას,
ყურშა და თავციკერია
ღუმელთან აღარ წვანან.



სასახლის დამკვევნი



ბ. ლათაშვილი

ნახატები ზ. კაპანაძისა

ქიანქველები გრძელ მწკრივად, სწრაფად მიმოდიოდნენ ატმის ღეროზე. ზოგი ზამთრის სარჩოთი დატვირთულიყო და უკან ბრუნდებოდა ხის მახლობლად საგულდაგულად მოწყობილ ბინებში; იქ სწრაფად აბინავებდნენ ტვირთსა და კვლავ უკან მიიქპაროდნენ საკვების მოსატანად. ატმის ჩრდილში დასასვენებლად ჩამომსხდარმა მოსწავლეებმა შეამჩნიეს ქიანქველების ქარავანი.

— გივი! ერთი უყურე ამ პატარა ქიანქველას, რამოდენა ტვირთს დასკიდებია, როგორ მიაბენინებს! — წამოიძახა ოთარმა.

— მასწავლებელო, ამ პატარა ეშმაკებს შეხედეთ, რა ყოფით ეზიდებიან ზამთრის სარჩოს! — მიუთითა გივიმ ქიანქველებზე.

— თქვენ მაშინ უნდა ნახოთ, როცა ადამიანთან ახლოს დასახლდებიან, — მიუგო მასწავლებელმა, — დაუკითხავად რომ ესტუმრებიან ხოლმე იქ შენახულ ტკბილეულობას: მურაბას, ნამცხვარს, შაქარს, ყურძენს და დიდი რაოდენობით ეზიდებიან თავიანთ ბინაში; მათი ბინა მიწაში ღრმად არის გათხრილი



და მრავალი განყოფილებისაგან შედგება. შიგ ზამთრის სარჩო აქვთ დაწყობილი. საცხოვრებელი ოთახები ცალკე აქვთ დედა ქიანქველებს. „მუშებს“ და „ჯარისკაცებს“. ამ უკანასკნელთა მოვალეობაა ქიანქველების საცხოვრებელი ბინის დაცვა „გარეშე მტრების“ თავდასხმისაგან.

როცა მინდვრად, ხნულში დასახლდებიან, დიდი რაოდენობით აგროვებენ ხორბლისა და ქერის თესლს, ამიტომ მათი ბინების მახლობლად ჯგჯილი თხელია, მოსავალი მცირდება. მაგრამ ზიანის გარდა მათ ზოგჯერ სარგებლობაც მოაქვთ ხოლმე ადამიანისათვის. აი, თუნდაც ახლა: ატმის ხიდან თეთრ, პაწაწინა მუთაქის მსგავს ტვირთს რომ ეზიდებიან, ეგ ხეხილის მანვე მწერების კვერცხებია, რომლიდანაც მატლები გამოიჩეკებიან. ისინი აზიანებენ თქვენს საყვარელ ლოყაწითელ ატმებს.

ქიანქველებსაც ჰყავთ მტერი. ტყის პატარა ცხოველი მაჩვი ჩასაფრდება ხოლმე ქიანქველების ბუდესთან და მუსრს ავლენს მათ. მაჩვის გარდა კიდევ ჰყავთ მტერი, რომელსაც „ქიანქველების ლომს“ უწოდებენ.

მშრალ და ქვიშნარ გორაკებზე, ქიან-ქველების ბუდეების მახლობლად, მრგვალი მოყვანილობის ორმოები შეგვხვდებათ. ეს ქიანქველებისა და სხვა პატარა მწერების მისატყუებელია.

ამ პაწაწინა ორმოების ფსკერზე ერთი შეხედვით არაფერი ჩანს, მაგრამ საკმარისია შიგ პატარა კენჭი ჩაუარდეს, რომ ორმოდან მაშინვე ამოძვრება ქვიშაში შემალული მოყვითალო-მონაცრისფერო მატლი — „ქიანქველების ლომი“, რომელიც გამალებით დაიწყებს მსხვერპლის ძებნას.

— მაშ ეს ორმოები თავისებური მახე ყოფილა? — იკითხა გვიმ.

— სწორედ ისეთი, როგორც ობობას ქსელია მწერების დასაჭერად. ორმოს ნაპირებზე შემოყრილია ფხვიერი ქვიშა. საკვების საძებრად გამოსული ქიანქველა როგორც კი მოხვდება ამ ორმოს ნაპირზე, ქვიშა ჩაზვავდება და მას თან ჩაიტანს. სწორედ ამას უცდის ორმოს ძირში ჩასაფრებული „ქიანქველების ლომი“: ის მსხვერპლს ზევიდან მოექცევა და ორმოს ნაპირებიდან ჩაპყრის ქვიშას, რომ ტყვეობაში მოხვედრილმა ქიანქველამ ზევით ასვლა ვეღარ მოახერხოს.

ცხელი ქვეყნების მოსახლეობას მეტად აწუხებს ქიანქველას მსგავსი მწერები ტერმიტები, რომლებსაც თეთრ ქიანქველებსაც ეძახიან.

პატარა ტერმიტები მიწის დაღეჭვით ამზადებენ თავიანთი ბინების ასაშენებელ მგარ მასალას და იკეთებენ მრავალი განყოფილებისაგან შემდგარ ბინას. მისი სიმაღლე ზოგჯერ 3-5 მეტრს

აღმატება და შორიდან ადამიანის საცხოვრებელ სახლებს წააგავს. ჩრდილო-ავსტრალიის სანაპიროებთან მოგზაურებს ჩვეულებრივ სოფლებად მოეჩვენებათ ტერმიტების ბინები. ტერმიტები ქამენ მცენარეების ნაყოფს და ფოთოლს, თუ ბოსტნებში მოხვდნენ, დაუნდობლად ანადგურებენ ნათესებს. ისინი ზოგიერთი მცენარის ფოთლებს ბლომად ეზიდებიან ბინაში და ცალკე საკუჭნაოებში ათავსებენ, წვრილად აქუცმაცებენ მას და ასე ინახავენ. დაკუწული ფოთლის გროვას მოკლე ხანში თეთრი ობი მოედება. სწორედ ეს უნდათ ტერმიტებსაც, — ეს ხომ მათი ბოსტანია.

ტერმიტები ხშირად ანადგურებენ ფიცრებს, ძელებს, ავეჯეულს და სახლებსაც კი ანგრევენ, თუ იგი ხის მასლისაგან არის გაკეთებული.

ინდოეთის ერთ-ერთ ქალაქში, კალკუტაში, 1814 წელს მოულოდნელად დაინგრა მეფის მოხელის მშენიერი სასახლე; როგორც გამოირკვა, სასახლის დანგრევა ტერმიტების ბრალი ყოფილა, რადგან სასახლის ხის ნაწილები ტერმიტებს თანდათანობით შეეჭამათ. ატლანტის ოკეანეში მდებარეობს ერთი კუნძული, მასზე გაშენებული იყო ქალაქი ჯემსტონი, რომელიც ამ პატარა ქიანქველებმა ნანგრევებად აქციეს.

აბა, ბავშვებო, ახლა კი განვარძობთ მუშაობა! — მიმართა მასწავლებელმა და მოსწავლეები სასკოლო-საცდელ ნაკვეთზე გამოიშალნენ.





ზღაპარი

შენ ალბათ იცი, რომ ჩინეთში ჩინელები ცხოვრობენ. იმპერატორიც ჩინელი ჰყავდათ.

დიდებული რამ იყო იმპერატორის სასახლე, დედამიწის ზურგზე მის მსგავსს ვერსად ნახავდით. ისეთი უნახესი ფაიფურისაგან იყო ნაგები, რომ ხელს ვერ მიაკარებდი, არ დაიმხვრესო. სასახლის ირგვლივ მშვენიერი წალკოტი ჰყავდა.

ამ წალკოტის გადაღმა, ტყეში, ბუღბუღს ჰქონდა ბინა. ისე ტკბილად გალობდა, რომ ღარიბ მეთევზესაც კი ავიწყებდა თევზაობას.

6653



ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ მოვზურები, აღტაცებით შეჰყურებდნენ იმპერატორის საუცხოო სასახლეს და მშვენიერ წალკოტს, მაგრამ როცა ბუღბუღის გალობას მოისმენდნენ, გაიძახოდნენ: „ეს კი ყველაფერს სჯობიაო!“

სწავლელები წიგნებს წიგნებზე სწერდნენ ამ სასახლისა და ბაღის შესახებ და ბუღბუღს ქებით იხსენიებდნენ.

ერთი ასეთი სქელტანიანი წიგნი ჩინეთის იმპერატორსაც ჩაუვარდა ხელში.

— რაო? — წამოიძახა იმპერატორმა, — ჩემს სამფლობელოში, ისიც ჩემი სასახლის ბაღში, ასეთი საკვირველი ჩიტი ცხოვრობს და მისი გალობა მე ერთხელაც არ მომისმენია! განა ეს ამბავი უცხო წიგნებიდან უნდა შემეტყო? — დაუძახა ვეზირს. ეს ვეზირი ისეთი მედიდური იყო, რომ თუ შეაწუხებდნენ და რაიმეს შეეკითხებოდნენ, ასე უპასუხებდა: „აჰე!“


— რაც სრულებით არაფერს ნიშნავდა. დატრიალდა ვეზირი, შემოირბინა მთელი სასახლე, მაგრამ კაცი ვერ ნახა, რომ ბუღბუღის ამბავი სცოდნოდა.

ბოლოს ერთ გოგონას მიაგნეს სამზარეულოში.

— ბუღბუღი? — თქვა პატარა გოგონამ. — ვიცი, როგორ არ ვიცი! მერე რა კარგად გალობს ჩვენს ტყეში! იმის ნახ ხმას რომ გავიგონებ, ასე მგონია, დედაჩემი მკოცნის-მეთქი.

ვეზირები და კარისკაცები ტყისაკენ გაემართნენ. წინ გოგონა მიუძღოდათ.

უცბად ძროხის ბლავილი მოგსმიათ, — რა ძლიერი ხმა ჰქონია პატარა ჩიტუნას! — წამოიძახა ვეზირმა.



— არა, ეს ძროხა ბლავის,—მიუგო გოგონამ.

ახლა ბაყაყების ყიყინი გაისმა.

— მშვენიერია! — თქვა მოძღვარმა, — ჩემი ტაძრის ზარის წკრიალს მომაგონებს.

— არა, ეს ბაყაყებია! — თქვა გოგონამ.

უცბად მწვანე ტოტებიდან საუცხოო გალობა ჩამოესმათ.

— ბულბულია! — წამოიძახა გოგონამ. — უსმინეთ! აგერ თვითონაც მოჩანს! — და თითი გაიშვირა ტოტზე შემომჯდარ პატარა ნაცარა ჩიტისაკენ.

— პფ! — თქვა პირველმა ვეზირმა. — არ მეგონა, თუ ეს განთქმული ბულბული ასეთი უშნო იქნებოდა. ალბათ, ამდენი დიდკაცობა რომ დაგვინახა, შიშით ფერი ეცვალა.

— ჩემო ბულბულო! — ასძახა პატარა

გოგონამ, — ჩვენს იმპერატორს შენი ცხელი ღიმილი მოსმენა სურს.

— დიდი სიამოვნებით! — მიუგო ბულბულმა.

დადგა საღამო.

უზარმაზარი დარბაზის შუაგულში ტახტი დადგეს, ზედ იმპერატორი დაბრძანდა. მისი ამაღაც იქ იყო. ტახტის წინ ოქროს ქანდარაზე ბულბული შესვეს.

იმპერატორმა მოწყალებულ დააქინა თავი. ბულბულმა ისეთი ტკბილი გალობა დაიწყო, რომ იმპერატორს ღოყაზე ცრემლები ჩამოუვარდა. ეს რომ ბულბულმა შენიშნა, უფრო მეტის გატაცებით მორთო რაკრაკი.

როცა ჩიტმა გალობა დაამთავრა, იმპერატორმა ბრძანა: ჯილდოდ ჩემი ოქროს ქოში ყელზე ჩამოჰკიდეთო. მაგრამ ბულბულმა მადლობა გადაუხადა და საჩუქარზე უარი თქვა:

— მე ვნახე თქვენს თვალზე ცრემლი, ამაზე დიდი ჯილდო რაღა იქნება?

ბულბულს სასახლეში ოქროს გალია დაუდგეს, დღეში ორჯერ და ღამეში ერთხელ ეძლეოდა სეირნობის უფლება. მომვლელად თორმეტი მსახური მიუჩინეს და ფეხზე შეაბეს აბრეშუმის ზონარი, რომლის ბოლოც მსახურებს ხელში ეკირათ.

აბა რა სიამოვნება უნდა მიეღო ასეთი გასეირნებით!

ერთხელ იმპერატორმა იაპონიიდან საჩუქრად მიიღო აბრეშუმის ნაჭერში გახვეული პატარა ყუთი; შიგ მონახტული კოლოფი აღმოჩნდა, კოლოფში ხელოვნური ბულბული იღო, სულ აღმასით, ლალით და ზურმუხტით მოჭედელი.

ჩიტი რომ მომართეს, მან მშვენიერი გალობა წამოიწყო.

— ახლა მათ ერთად იმღერონ. — გადაწყვიტა იმპერატორმა.

მაგრამ არაფერი გამოვიდა: ცოცხალი ბულბული ახალ-ახალ ჰანგებს არაკრაკებდა, ხელოვნური კი სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა. ოცდაცამეტჯერ გაამე-



ორგბინეს ხელოვნურ ბულბულს თავისი სიმღერა. კარისკაცები პირდაღებულები უსმენდნენ. იმპერატორმა ბრძანა, ახლა ცოცხალ ბულბულსაც მოვუსმინოთო. ყველა მიბრუნდა ოქროს ქანდარი-საკენ, მაგრამ ბულბული ღია ფანჯრიდან გაფრენილიყო.

გავიდა ხანი. ერთხელ, როცა ხელოვნური ბულბული გალობდა, მის მუცელში გაისმა „ჩხრრ!“ და რაღაც გაწყდა. ყველა ბორბალი უკუღმა დატრიალდა, ჩიტი მოიშალა. ოსტატმა ვერაფერი გააწყო. იმპერატორი დარდისაგან ავად გახდა. ექიმები გაიძახოდნენ, ვერ გადარჩებოაო. ვეზირები უკვე აპირებდნენ ახალი იმპერატორის არჩევას.

მოხუცი იმპერატორი უძრავად იწვა ოქროქსოვილით მორთულ სარეცელზე, ხავერდის ფარდის ნაკეცებიდან უცნაური სახეები იქვერიტებოდნენ: ზოგზე—სიძულვილი იყო აღბეჭდილი, ზოგზე—სიბრალოული. ეს იყო იმპერატორის ბოროტი და კეთილი საქმეები. მაგრამ ბოროტი გაცილებით მეტი ყრია. ისინი იმპერატორს შეპყურებდნენ ყოველი მხრიდან და რაღაცას ჩასჩურჩულებდნენ. მას შუბლზე ქირის ოფლმა დაასხა.

— მუსიკა, ჩქარა მუსიკა! — შეპყვირა იმპერატორმა, მაგრამ გამგონი ვინ იყო! — შენ მაინც იმღერე, ჩემო კარგო ჩიტუნა! მე ხომ ოქროთი და თვალმარგალიტით ავაკემ, ყელზე ჩემი ოქროს ქოშიც დაგკიდე. მიმღერე რამე!

მაგრამ ხელოვნური ბულბული დუმდა. უეცრად ღია ფანჯრიდან მშვენიერი გალობა მოისმა. ეს იყო ნამდვილი ბულბული, რომელიც გარეთ ტოტზე იჯდა. მას შეეტყო იმპერატორის ავადმყოფობა და მის სანუგეშებლად მოფრენილიყო;

ბულბულის წკრილა ხმაზე თანდათან ქრებოდნენ ბოროტი ლანდები; სიკვდილი კი თეთრ ნისლად იქცა და ფანჯრიდან გაიპარა. ავადმყოფმა მოიხედა.

— გამადლობ, პატარა მგოსანო. — თქვა იმპერატორმა, — გიცანი! მე გააძევე ჩემი სამფლობელოდან, შენ კი რა სიკეთე მიყავი, სიკვდილიც კი გააქციე. რით შემიძლია სამაგიერო გადავიხადო?

— შენ უკვე გადახდილი გაქვს. — უთხრა ბულბულმა, — როცა პირველად გიმღერე, თვალებზე ცრემლი მოგადგა, და ეს არასოდეს დამავიწყდება. ცრემლი ყველაზე ძვირფასი ჯილდოა მგალობლისათვის.


— დარჩი ჩემთან, — სთხოვა იმპერატორმა. — მიმღერე მაშინ, როცა შენ თვითონ მოისურვებ. ამ ხელოვნურ ჩიტს კი სულ დღუქმა-ღუქმად ვაქცევ.

— ნუ იზამ მაგას, — მიუგო ბულბულმა. — ის მშვენივრად გემსახურებოდა, ვიდრე შეეძლო. ხელს ნუ ახლებ. მე სასახლეში ცხოვრება არ შემიძლია, მაგრამ, როცა მომესურვება, მოვფრინდები და გიმღერებ ბედნიერსა და უბედურ ხალხზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, რაც შენს ირგვლივ ხდება და რაც შენ არ იცი. პატარა ბულბულს ყველგან შეუძლია მიფრინდეს, მოინახულოს გაქირვებული მეთევზის ქოხიც, მერე კვლავ მოფრინდეს და გიგალობოს. მაგრამ ერთის პირობით: ნურავის ეტყვი, თუ თავს პატარა ჩიტი, რომელიც შენ ყველაფერს გიყვება. ასე უკეთესი იქნება.

თქვა და გაფრინდა. მსახურები დარბაზში შევიდნენ, რომ მიცვალებული იმპერატორი ენახათ, მაგრამ აღდიღზე გაქავდნენ:

— დილა მშვიდობისა! — თქვა იმპერატორმა.

თარგმანი აკაკი ჭაბუაძის





ა. შაიკოვი

ნახატი ვ. ჯაფარიძისა

გაზაფხული

გასწი, გასწი, ზამთარო,
გესმის, ზართა წყრიალით
მოჰქრის ეტლი გაზაფხულის—
ოქროს ჩარდახიანი.

შენ ვით სძლიო ბებერმა
ყვავილების დედოფალს!
სურნელოვან ქარების
წინ მოუძღვის მხედრობა.

შვიდ მაისის წვიმების
თან მოჰყვება გრიალი:

ახლა—სხივთა ცილი!
ჩიტუნების წყრიალი!

უმწვილდისროდ—ღიმილით
შეგიმტვრია კარები:
ლხვება თოვლის საბანი,
ხევ-ხევ მიიპარები...

მაგრამ მანდაც მოგძებნის
ზუზუნებენ ფუტკრები
და მოჰქრის მდევრებად
ქრელ ჰეპლების გუნდები.

თარგმნა მ. ლეზანიძემ



ქაღ. ზ. ი. ლენინის სახლი-მუზეუმი ულიანოვსკში. ნახატი რ. სტურუაისა

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაცულა მრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, თ. სახარულაძე, ნ. უნაფროშვილი.

შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) **გაშოცემის ოცდამეგრე წელი** ფასი 2 მან.

Д И Л А—железнодорожный детский журнал ЦК ВЛКСМ Грузии № 4, апрель 1955 г. Тбилиси Ленинна 14 საბლტვაში. რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.წ.ნ.ს 14, 3 სართ. ტელ. 8-57-38. გამოც. ჯგუ. № 60; სტამბის ჯგუ. № 149/558. ტირაჟი. 12000. უკ 00589 ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/III 1955 წ. ტექსტი ამუშავდა პოლიგრაფიკობის რ. კოშენიაძის სტამბაში. ქვენილი დაბეჭდილია ოქტბრის სისტემის მანქანებზე ჯარია ვოსტოკას სტამბაში.